ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2021

შპს "სითი სპორტი"

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 8

1. **ზოგადი ინფორმაცია** 8
2. **ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი** 8
3. **ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები** 9
4. **ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები** 11
5. **სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები** 11
6. **მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები** 11
7. **სასაქონლო-მატერიალური მარაგები** 12
8. **ძირითადი საშუალებები** 12
9. **ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში** 13
10. **სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები** 13
11. **სასესხო ვალდებულებები** 14
12. **კაპიტალი** 14
13. **ამონაგების აღიარება** 15
14. **საოპერაციო და ფინანსური იჯარა** 15
15. **ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები** 16
16. **მიწოდებისა და მომსახურების ხარჯები** 16
17. **სხვა სახის მოგება/(ზარალი)** 17
18. **ფინანსური ხარჯი** 17
19. **გადასახადები** 17
20. **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები** 18
21. **დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:** 18
22. **ბალანსის შემდგომი მოვლენები** 18

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2021 წელი	2020 წელი
		ლარი	ლარი
ამონაგები	13	3,887,935	2,880,116
რეალიზაციის თვითღირებულება		(2,098,371)	(1,787,453)
საერთო მოგება		**1,789,564**	**1,092,663**
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(1,249,009)	(860,476)
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	16	(107,358)	(75,569)
სხვა სახის მოგება/(ზარალი)	17	535,048	(995,282)
საოპერაციო მოგება		**968,245**	**(838,664)**
ფინანსური ხარჯი	18	(299,662)	(250,828)
მოგება დაბეგვრამდე		**668,583**	**(1,089,492)**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**668,583**	**(1,089,492)**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		**668,583**	**(1,089,492)**

ეკატერინე შავდია
შპს "სითი სპორტი"-ს დირექტორი

29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შემიშვნები	2021 წელი	2020 წელი
		ლარი	ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	689,581	759,045
ინვესტიციები	9	5,115,000	5,115,000
		5,804,581	**5,874,045**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	988,573	1,204,850
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	32,943	18,078
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6	748,929	391,629
ფული და ფულის ექვივალენტები	4	205,132	249,237
		1,975,578	**1,863,794**
მთლიანი აქტივები		**7,780,159**	**7,737,840**
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	12	1,514,850	1,512,850
გაუნაწილებელი მოგება		1,091,778	423,196
გადაფასების რეზერვი		-	-
		2,606,628	**1,936,046**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	5,064,443	5,525,102
ანარიცხები	20	-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		5,064,443	**5,525,102**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	17,743	218,671
საგადასახადო ვალდებულებები	19	91,345	58,021
		109,088	**276,692**
მთლიანი ვალდებულებები		**5,173,531**	**5,801,794**
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		**7,780,159**	**7,737,840**

ეკატერინე შავდია
შპს "სითი სპორტი"-ს დირექტორი

29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2021	2020
		ლარი	ლარი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება გადასახადებამდე		668,583	(1,089,492)
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	15	89,751	85,304
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	17	221,215	167,644
მარაგების კლება/(ზრდა)		979,548	(836,544)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(14,865)	434
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		(357,300)	52,397
მარაგები		216,277	16,466
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		(200,928)	168,799
საგადასახადო ვალდებულებები		33,323	71,957
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		656,056	(526,491)
გადახდილი პროცენტი	18	(299,662)	(250,828)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**356,394**	**(777,319)**

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა/(ყიდვა)	69,464	53,361
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	**69,464**	**53,361**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)	2,000	(6,500)
გრძელვადიანი სესხის ცვლილება	(460,659)	791,571
მოკლევადიანი სესხის ცვლილება	-	-
გაცემული დივიდენდები	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული	**(458,659)**	**785,071**
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში	**(32,801)**	**61,112**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	(11,303)	(2,120)
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	**249,237**	**190,244**
ფული და ფულის ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	**205,132**	**249,237**

ეკატერინე შავდია
შპს "სითი სპორტი"-ს დირექტორი

29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	1 512 850	-	423 196	1 936 046
შენატანი	2 000			2 000
გადაფასების რეზერვი				
დივიდენდები				
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი			668 583	668 583
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	1 514 850		1 095 354	2 606 628

ეკატერინე შავდია
შპს "სითი სპორტი"-ს დირექტორი

29 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "სითი სპორტი" (შემდგომში „კომპანია") არის 2006 წლის 17 აპრილს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება, რომლის თავდაპირველი სახელწოდება რეგისტრაციის მომენტში იყო შპს „სპორტის სამყარო". აღნიშნული სახელის ცვლილება შპს „სითი სპორტით" განხორციელდა 2014 წლის 24 ივნისს (საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღი). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, გ. ცაბაძის ქ. №19, ფაქტობრივი მისამართი ვაჟა-ფშაველას გამზ №8.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის სპორტული ფეხსაცმელების, ტანსაცმლისა და აქსესუარების ყიდვა-გაყიდვა. კომპანიის სახელის ქვეშ 2021 წელს ფუნქციონირებდა 4 მაღაზია - NEW BALANCE - ვაჟა ფშაველას გამზ N 20-ში , NEW BALANCE -ისთ ფოინთის ფილილში , PEAK ვაჟა ფშაველას გამზ.N 8-ში და PEAK -ისთ ფოინთის ფილილში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს ერთი მეწილე 100%-ის მფლობელი ფიზიკური პირი დავით ხახიაშვილი, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს. ფიზიკური პირი ეკატერინე შავდია წარმოადგენს კომპანიის კიდევ ერთ დირექტორს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

<u>მომზადების საფუძველი</u>

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების "მსს ფასს-ზე გადასვლა"-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით;
- კომპანიამ ისარგებლა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებით და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას.

<u>ფუნქციონირებადი საწარმო</u>

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სების ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი/1 ევრო	3.5040	4.0233

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები

შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.
კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

კომპანიის რისკების მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია

სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე.
კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი;
  - საპროცენტო რისკი.
  -

4. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	2021	2020
ფული სალაროში	20,557	70,128
ფული ბანკში	184,576	179,108
სულ	**205,132**	**249,237**

5. სავაჭრო და მოკლევადიანი მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

6. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ადგილობრივი და უცხოელი ძირითადი და სხვა მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს, რომელთა გამომუშავება მოხდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2021	2020
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი:		
ადგილობრივი და უცხოელი ძირითადი მომწოდებლები	748,929	391,629

სხვა მომწოდებლები		
სულ	**748,929**	**391,629**

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ქალისა და მამაკაცის სპორტულ ფეხსაცმელებს, ტანსაცმელსა და აქსესუარებს (გასაყიდი მასალა).

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**2021**	**2020**
გასაყიდად გამიზნული საქონელი	957,531	1,173,808
სხვა მარაგი	31,042	31,042
სულ	**988,573**	**1,204,850**

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია

გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობა-ნაგებობები 10-50 წელი
- ოფისის აღჭურვილობა 5-15 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა 5-15 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-15 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

9. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

2019 წლის პერიოდში კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 3 315 000 ღირებულების შენობა ნაგებობა რომეილიც 2020 წლის თებერვალში შეტანილ იქნა შვილობილ კომპანიაში კაპიტალის სახით.

2018 წლის 28 დეკემბერს (საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღი) კომპანია გახდა იურიდიული პირის შპს „მადას" 50%-იანი წილის მფლობელი, რომლის პირვანდელი მფლობელი იყო ფიზიკური პირი დავით ხახიაშვილი. აღნიშნული საინვესტიციო ღირებულება განისაზღვრა 1 800 000 ლარად მოწვეული შემფასებლის მიერ. მიუხედავად 50%-იანი წილის ფლობისა კომპანიას არ აქვს აღნიშნულ იურიდიულ პირზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო

ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

11. სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

2020 წლებში კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტიდან მიზნობრივი დანიშნულებით აღებული სამი სხვადასხვა სახის სესხი (უძრავი ქონების შესაძენად და საბრუნავი საშუალებებისთვის). მიღებულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს:

სესხის ნომერი	მიღების თარიღი	მიღებული სესხები	საპროცენტო განაკვეთი
1585611-9649982	28/02/2018	$ 350,000.00	6.50%
1585611-10495412	29/05/2019	€ 1,108,000.00	5.50%
1585611-10934022	31/03/2020	$ 213,000.00	6.50%
1585611-11282246	30/01/2021	€ 35,000.00	6.00%
1585611-11673477	05/11/2021	$ 50,000.00	7.00%
1585611-11604489	22/09/2021	$ 50,000.00	6.00%

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი და წინა წლის გაუნაწილებელი მოგების სხვა ცვლილებისგან რომელიც გამოწვეულია ზოგიერთი საბუღალტრო ანგარიშების კორექტირებისგან.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკმბერი 2020	**1 512 850**	-	**423 196**	**1 936 046**
შენატანი	**2 000**			**2 000**
გადაფასების რეზერვი				
დივიდენდები				
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი			**668 583**	**668 583**
ბალანსი 31 დეკმბერი 2021	**1 514 850**		**1 095 354**	**2 606 628**

13. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

14. საოპერაციო და ფინანსური იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „იჯარის ხარჯის" მუხლში. აღნიშნული იჯარის ხარჯი წარმოადგენს მაღაზიებისა და აღნაგობით აღებული ქონების იჯარის თანხებს და წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(687,823)	(403,487)
საიჯარო ხარჯი	(233,408)	(229,984)
კომუნალური ხარჯი	(36,632)	(22,829)
მარკეტინგის ხარჯი	(100,292)	(63,442)
ცვეთა და ამორტიზაცია	(89,751)	(85,304)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(98,516)	(55,192)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(2,587)	(239)
სულ	**(1,249,009)**	**(860,476)**

16. მიწოდებისა და მომსახურების ხარჯები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

მიწოდების და მომსახურების ხარჯები	2021	2020
ბანკის მომსახურების საკომისიო	(83,604)	(72,228)
გაყიდვის დანახარჯები	(23,755)	(3,341)
სულ	**(107,358)**	**(75,569)**

17. სხვა სახის მოგება/(ზარალი)

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

სხვა სახის მოგება/(ზარალი)	**2021**	**2020**
გადაფასებიდან და საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	580,040	(995,282)
ძ.ს.-ის რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი)	(73,384)	-
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	28,393	-
სულ	**535,048**	**(995,282)**

18. ფინანსური ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

ფინანსური ხარჯი	**2021**	**2020**
საპროცენტო ხარჯი	(299,662)	(250,828)
სულ	**(299,662)**	**(250,828)**

19. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად,

კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

20. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

21. დაკავშირებულ მხარეთა შორის ტრანზაქციები:

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არანაირი ოპერაციები არ ჰქონია.

22. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსის ინფექციური დაავადების (COVID-19) გამოჩენამ და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს გარემოზე მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, აღნიშნულმა ეფექტმა სააღრიცხვო პერიოდზე და მის შემდეგაც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა.

ზემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში.

აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

<u>მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს</u>